ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული 2025 წლის ანგარიში

მონაცემები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ (მუხლი 49 (ა))		
საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	68 (წერილი)	393 (ინფორმაცია)
დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	58 (წერილი)	356 (ინფორმაცია)
მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებათა რაოდენობა	0	
განხილვის ეტაპზე არსებულ მოთხოვნათა რაოდენობა	10 (წერილი)	37 (ინფორმაცია)
მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა შესახებ (მუხლი 49 (ა))		
საჯარო ინფორმაციაში შესწორების მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	0	
დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	0	
მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებათა რაოდენობა	0	
განხილვის ეტაპზე არსებულ მოთხოვნათა რაოდენობა	0	

მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის შესახებ (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი) (მუხლი 49 (ბ))

საანგარიშო პერიოდში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე: 2025 წლის 1 იანვრიდან 3 ნოემბრამდე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - ანა მოსულიშვილი, დღეის მდგომარეობით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - მარიამ ჯინჭველეიშვილი (ელ ფოსტა: m.jinchveleishvili@rustavi.gov.ge).

ინფორმაცია საჯარო მონაცემთა ბაზებისა შესახებ (მუხლი 49 (გ))

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში მოქმედებს შემდეგი მონაცემთა ბაზები:

- შემოსული და გასული კორესპონდენციის წარმოების მონაცემთა ბაზა;
- სამართლებრივი აქტების ბაზა;
- მერიაში მოქმედი სამუშაო ჯგუფებისა და საბჭოების საქმისწარმოების ფარგლებში მოქმედი ბაზები.
- მერიის საკადრო პოლიტიკის წარმოებასთან დაკავშირებით არსებული მონაცემთა ბაზა;
- სასამართლო დავებთან და ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებული ბაზები;
- მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისა დაცვის, სოციალური მომსახურების და ბავშვთა დაცვის მიმართულებით მოქმედი პროგრამების მონაცემთა ბაზები;
- ინფრასტრუქტურული პროექტების ბაზა;
- მშენებლობის ნებართვებთან დაკავშირებული ბაზები;
- ქონების მართვა/განკარგვასთან დაკავშირებული ბაზები;
- მუნიციპალური ინსპექციის ბაზები;
- მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მონაცემთა ბაზა;

მონაცემები საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ (მუხლი 49 (გ))

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება და გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე,

მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.			
მონაცემები საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ (მუხლი 49 (დ))			
დაკისრებული დისციპლინური სახდელების საერთო რაოდენობა	საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის განმავლობაში არ გამოვლენილა.		
დაკისრებული დისციპლინური სახდელების სახე			
საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას (მუხლი 49(ე))			
საანგარიშო პერიოდში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენდა: • საქართველოს კონსტიტუცია • საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი • პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი • სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონი			
მონაცემები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ (მუხლი 49 (ვ))			
ადმინისტრაციული საჩივრების საერთო რაოდენობა	0	დაკმაყოფილდა	
		არ დაკმაყოფილდა	
		ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	
		განხილვის პროცესშია	
სასარჩელო განცხადებების საერთო რაოდენობა	0	დაკმაყოფილდა	
		არ დაკმაყოფილდა	
		ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	
		განხილვის პროცესშია	
მონაცემები საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ (მუხლი 49 (ზ))			
საჯარო ინფორმაციის გაცემის, დამუშავების, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა	0		
მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობა	0		
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ წარმოშობილა ხარჯები და ადგილი არ ჰქონია მერიისთვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.			